საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო სააპელაციო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 26 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო სააპელაციო კომისიის წევრები:

1. თამარ სირაძე (თავმჯდომარე, ბსუ-ს პროფესორი)
2. შორენა მახაჭაძე (მდივანი, ბსუ-ს პროფესორი);
3. ნანა სტამბოლიშვილი (წევრი, ბსუ-ს პროფესორი);
4. ლალი ზაქარაძე (წევრი, ბსუ-ს პროფესორი);
5. ოლეგ ჯიბაშვილი (წევრი, ნიკო ბერძენიშვილის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
6. ნათია აბაშიძე (წევრი, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი)

სხდომას არ ესწრება: ლალი ზაქარაძე (წევრი, ბსუ-ს პროფესორი);

სხდომას ესწრებიან ასევე: საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე მერაბ დიასამიძე და კანცელარიის უფროსი ხათუნა ხალვაში.

დღის წესრიგი:

1. *„ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანების საფუძველზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტ ნანა ხახუტაიშვილის მიერ წარმოდგენილი* საკონკურსო დოკუმენტაციის კანცელარიის უფროსის ხათუნა ხალვაშისაგან მიღება და ამავე კონკურსანტის საჩივრის საპროცედურო კომისიისაგან მიღება.
2. *კონკურსანტ ნანა ხახუტაიშვილის მიერ 2018 წლის 23 ივლისს საპროცედურო კომისიაში წარმოდგენილი განცხადების (საჩივრის) განხილვა.*

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი:

საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ დიასამიძემ განმარტა, რომ *„ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანებით* განსაზღვრულ ვადაში საპროცედურო კომისიაში წარმოდგენილი იქნა *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ ნანა ხახუტაიშვილის* განცხადება (საჩივარი).

კანცელარიის უფროსის ხათუნა ხალვაშმა განმარტა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიამ კანცელარიას ჩააბარა შესაბამისი ფაკულტეტის საკონკურსო მასალა. დღევანდელ სხდომაზე წარმოგიდგენთ კონკურსანტ ნანა ხახუტაიშვილის საკონკურსო მასალას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

1. საპროცედურო კომისიისა და კანცელარიის უფროსის მიერ წარმოდგენილი მასალა მიღებული იქნეს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (აღნიშნული აქტები დაერთოს წინამდებარე ოქმს).

მოისმინეს დღის წესრიგის მე-2 საკითხი:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის შესაბამისად უნდა შევისწავლოთ კონკურსანტ ნანა ხახუტაიშვილის განცხადება, მისი საკონკურსო დოკუმენტაცია და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მართებულობა. კონკურსანტი აპროტესტებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის N2 სხდომის საოქმო გადაწყვეტილებას, სადაც ასახულია, რომ ნანა ასლანის ასულმა ხახუტაიშვილმა მიიღო შეფასება ,,დაბალი". მომჩივანი ითხოვს განმარტებას ამ შეფასების ,,სამართლებრივ რეგულაცია"-ზე.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის" მე-6 მუხლის 8.1. პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე, ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (წესის დანართი №4). შეფასების ფორმის მე-III კატეგორია - ,,სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

III კატეგორია: სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა:

3.1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი პუბლიკაცია/პუბლიკაციები	
3.2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	
3.3. პატენტები (გამოგონებები)	
3.4. მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.5.მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.6. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.7. თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	

3.8. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი:

3.9. . სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[1]:

_____

კონკურსანტის შეფასების ფორმა შევსებულია საკონკურსო კომისიის მიერ (ხელს აწერს ყველა წევრი). შეფასების ფორმის 3.1. და 3.2. პუნქტებში მითითებული პუბლიკაციები შესრულებულია 2013 წლამდე (კონკურსანტს უნდა წარმოედგინა ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ნაშრომი). 3.3. პუნქტი ცარიელია, 3.4 პუნქტში მითითებულია მხოლოდ 1 მოხსენება ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციაზე, 3.5. და 3.6. პუნქტები შევსებული არ არის, 3.7. პუნქტში მითითებულია, რომ კონკურსანტმა სტაჟირება გაიარა 1996 წელს, 3.8. პუნქტში მითითებულია ერთი ნაშრომი (2017 წ), ხოლო 3.9. პუნქტი - კონცეფცია, კომისიის დასკვნის შესაბამისად, არის ზოგადი ხასიათის, რომელშიც ასახულია კონკურსანტის სტატიის ძირითადი დებულებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსანტის **საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით, ორ კატეგორიაში:** „ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას“ და „ხელს შეუწყობს ბსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას“) **საკონკურსო კომისიამ დაადგინა - „დაბალი“.**

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა, რომლებმაც განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალის შესაბამისობა კონკურსანტის შეფასების ფორმაში აღნიშნულ დასკვნებთან და ყველამ გაიზიარა საკონკურსო კომისიის შეფასების მართებულობა, რაც საბოლოო ჯამში პრეტენდენტის სტატუსის არ მინიჭებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ *ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ მე-6 მუხლის 8.1. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად* „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით მე-2 და მე-3 კატეგორიაში კონკურსანტი ფასდება „მაღალი“ ან „საშუალო“ შეფასებით, კომისია ანიჭებს მას პრეტენდენტის სტატუსს.“

სააპელაციო კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხზე მსჯელობის შედეგად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

2. *ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის მონაწილე კონკურსანტ ნანა ხახუტაიშვილის საჩივარი (განცხადება) არ დაკმაყოფილდეს და მის მიმართ მიღებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.*
3. წინამდებარე საოქმო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული მისამართზე: web@bsu.edu.ge) და ეცნობოს კონკურსანტ ნანა ხახუტაიშვილს.

საკონკურსო სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე

მდივანი